საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№139 (6365) 20 ნოემბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე

### 14 – 15 ნოემბერი

14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველის სესია დაიწყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს იმათ ხსოვნას, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

სესია გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ, რომელმაც შეკრებილთ მოახსენა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შედეგები. სესიამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, დაამტკიცა უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტი. აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები: სამდივნო, სარედაქციო და სამანდატო კომისიები. უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილება და მიიღო შესაბამისი დადგენილება. სესიაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ნოდარ ჭითანავამ განაცხადა, რომ მინისტრთა საბჭო იხსნის უფლებამოსილებას ახლადარჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე. სესიამ ცნობად მიიღო ეს განცხადება და დაავალა მთავრობას განაგრძოს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება, სანამ უზენაესი საბჭო ახალი საქართველოს მინისტრთა საბჭოს აირჩევდეს.

ამის შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ სესიის 14-15 ნოემბრის სხდომების დღის წესრიგის განხილვას (დღის წესრიგში შეტანილი საკითხების მიხედვით სესიის მიერ მიღებული კანონების, დადგენილებების, გადაწყვეტილებებისა და მიმართვების ტექსტებს დღეს გთავაზობთ).

სესიამ ფარული კენჭისყრით საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ზვიად გამსახურდია. ერთხმად დამტკიცდა ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

სესიაზე საპროგრამო განცხადებით გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

ქართველ ოფიცერთა რესპუბლიკური ეროვნული გაერთიანების სახელით სესიის მონაწილეებს მიესალმა ამ გაერთიანების შტაბის უფროსი დურუ ჭითანავა.

სესიის პირველი დღის დასასრულს გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორმა პაატა ნაცვლიშვილმა დეპუტატებს გააცნო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის — ალექსანდრე სულხანიშვილის ანდერძი, რომ ქაქუცას დროშა ახალარჩეულ პარლამენტს მიეღო. პატარებმა გიორგი გამსახურდიამ და არჩილ მოლოდინაშვილმა დარბაზში შემოიტანეს საქართველოს რესპუბლიკისა და ქაქუცას დროშები.

15 ნოემბერს სესიის სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი აკაკი ასათიანი, მოადგილედ დეპუტატი ნემო ბურჭულაძე.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად დანიშნა დეპუტატი თენგიზ სიგუა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

სესიაზე მორიგი სხდომის დაწყების წინ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას. ტრიბუნაზე მოწვეული გმირის დედა ოლღა დემურია-კოსტავა გულთბილად მიესალმა ახალი უზენაესი საბჭოს დეპუტატებს და დალოცა ისინი.

სესიაზე სიტყვით გამოსულმა დემოკრატიული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ვაჟმა რეჯებ ჟორდანიამ გამოთქვა რწმენა, რომ მალე დადგება დრო, როცა ხელს ჩამოართმევს თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

### საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადების შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადება ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წინაშე თავისი უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე.
2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება, სანამ საქართველოს უზენაესი საბჭო საქართველოს ახალ მინისტრთა საბჭოს შექმნიდეს.

**საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

**თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი.**

### საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

**თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი.**

## ზვიად გამსახურდია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს. იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ქართული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მითოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი მონოგრაფიისა და და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ზვიად გამსახურდია ცნობილია როგორც პოეტი და ბელეტრისტი. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, ავტორია მრავალმხრივი ლიტერატურისმცოდნეობითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები. იცის ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში, რისთვისაც ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, 60-70-იან და 80-იან წლებში ინტენსიურად განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელი. 70-იან წლებში გამოსულმა „ოქროს საწმისმა“, „საქართველოს მოამბემ“, „საქართველომ“, „მატიანემ“ და სხვებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში.

ზვიად გამსახურდია საქართველოს ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ. არის ყველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური წარმმართველი.

1977-1979 წლებში ზვიად გამსახურდია იყო რეპრესირებული. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვისა და კასპიისპირეთის საპატიმროებში.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 182-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკალური რედაქცია.
2. ამ კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესრულება მთელ რესპუბლიკაში შემოღებულ იქნეს 1990 წლის 15 ნოემბრიდან.
3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკის ნოტები გამოქვეყნდეს.
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ; №4, მუხ. 69)

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

**თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი.**

### საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი

## »დიდება«

**კ. ფოცხვერაშვილის ტექსტი და მუსიკა**

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა;
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ განთიადსა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე

(დასასრული).

სესიაზე კახეთის მთელ რიგ რაიონებში წარმოშობილი რთული ოპერატიული ვითარების შესახებ საგანგებო ინფორმაციით გამოვიდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს უფროსი გრიგოლ შონია.

დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ, აირჩიეს ამ კომისიის თავმჯდომარეები.

სესიაზე გამოვიდნენ ქართველ შეკარდენთა ლეგიონის მეთაური ელგუჯა წიკლაური, კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სპეცსკოლა-ინტერნატის კურსანტი კახაბერ ნაკანი.

კახეთის მთელ რიგ რაიონებში რთულ ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებით შექმნილი დეპუტატთა ჯგუფის სახელით გამოვიდა დეპუტატი არჩილ მინდიაშვილი.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხსა და პრობლემასთან დაკავშირებით გამოვიდნენ დეპუტატები გურამ პეტრიაშვილი, ვიქტორ დომუხოვსკი, ალიკო ქობულაშვილი, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ იმნაძე, ზაალ კახიანი, გელა ჩორგოლაშვილი, ალექსანდრე ჟღენტი.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს წინა დღით გარდაცვლილი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანის, „მრგვალი მაგიდის“ წევრის, პოლიო გოგელიას ხსოვნას.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესია უახლოეს მომავალში განაგრძობს მუშაობას...

---

**საქართველოს რესპუბლიკის კანონი**

## საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკა.
2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).
3. კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

**საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. **1990 წლის 14 ნოემბერი.**

---

**საქართველოს რესპუბლიკის კანონი**

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 180-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978 წ, №4, მუხ. 68).

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. **1990 წლის 14 ნოემბერი.**

---

**საქართველოს რესპუბლიკის კანონი**

## საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 181-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის გამოსახულება.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 11 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ“ (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1951 წ., №2. მუხ. 21).

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1990 წლის 14 ნოემბერი.

---

# მიმართვა სრულიად საქართველოს

ძვირფასო თანამემამულენო!

1990 წლის 14 ნოემბერს თავისი ძნელი, მაგრამ ფრიად საპატიო მოვალეობის აღსრულებას შეუდგა დემოკრატიული წესით არჩეული მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილი ეს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო უეჭველად იქნება ჩვენი ეროვნული ნებისა და მისწრაფებების ჭეშმარიტი გამომხატველი.

გრძნობს რა შექმნილი მდგომარეობის ისტორიულ მნიშვნელობას, საქართველოს უზენაესი საბჭო თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს დაუშრომლად იღვაწოს გარდამავალი პერიოდის სპეციფიკით ნაკარნახევ პრობლემათა გადაჭრისა და ქვეყანაში შექმნილი მრავალმხრივი კრიზისის დაძლევისათვის. სწორედ ამ გზით უნდა შევამზადოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აუცილებელი რეალური საფუძველი.

ერისა და პიროვნების სრული თავისუფლების დამკვიდრება ყოველი ჩვენგანის სანუკვარი მიზანია. მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ეროვნული თანხმობის, ურთიერთთანადგომისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე.

საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება.

ჩვენ, პარლამენტში არჩეული სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ განუხრელად ვიხელმძღვანელებთ საერთო-ეროვნული და არა ლოკალურ-პარტიული მოტივებით. ამგვარივე მოწოდებით მივმართავთ საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ამჟამად, დამოუკიდებლობის გზაზე მდგომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს შუღლისა და ურთიერთდაპირისპირების რამდენადმე სერიოზული მიზეზი. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი სრულად უზრუნველყოფს პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობას, ყველა სოციალური ფენის ინტერესთა დაცვასა და ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივ განვითარებას.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ნათელყოფს, რომ ჩვენში არასოდეს შელახულა ამა თუ იმ ეროვნების ინტერესები. ამჟამადაც გარანტირებულია მათი შეუვალობის ყველა პირობა, მათ შორის ავტონომიურ უფლებათა აღიარება და პატივისცემა.

თანამემამულენო!

საქართველოს უზენაესი საბჭო მიმართავს ყველას, ვისაც გულწრფელად აფიქრებს სამშობლოს ბედი, დადგეს ეროვნული შერიგების პოზიციაზე. მხოლოდ მტკიცე თანხმობა და ერთიანობა იხსნის საქართველოს, მიგვიყვანს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე. ძმათა შორის შუღლის ჩამოგდება ახლა ღალატის ტოლფასია. ერთიანი საქართველო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი. ამ ერთიანობის მისაღწევად წმინდა ილია მართალმა თავის დროზე ნათელმხილველის კეთილგონიერებით მოგვიწოდა:

**„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი**
**ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“...**

დაე, ჩვენც, ახლანდელ ქართველობას, გვიღვიოდეს სურვილი წარსულზე ამაღლებისა, თვისტომის სიყვარულისა და უფლის ერთგულებისა.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო**

---

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს**

## დადგენილება

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ **დეპუტატი აკაკი თორნიკეს ძე ასათიანი.**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. **1990 წლის 15 ნოემბერი.**

---

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს**

## დადგენილება

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ **დეპუტატი ნემო პიერის ძე ბურჭულაძე.**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1990 წლის 15 ნოემბერი.

---

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს**

## დადგენილება

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:** 1. დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ **თენგიზ იპოლიტეს ძე სიგუა.**

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამისმა მუდმივმა კომისიებმა წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დასკვნები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურისა და პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. **1990 წლის 15 ნოემბერი.**

# ძალი შეგვწევს ქადილისა

*** ეს ლიტონი სიტყვები როდია, მასწავლებელთა სამართლებრივი**

**დაცვის საკოორდინაციო საბჭოს დიდი და სასიკეთო საქმეების კეთება აქვს**

**განზრახული**

28 ოქტომბერს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ქართველი კვლავაც ქართველობს! მას თავისუფლება სწყურია. გ. პეტრიაშვილისა არ იყოს, „ქართველი ბრძენია გულით და ჭკუა კი არა, გულია ნამდვილად ბრძენი“. თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი გონივრული ნაბიჯი გადადგა საქართველომ, ხოლო ნამდვილი ბრძოლა ახლა დაიწყო და გვერდით უნდა დავუდგეთ ახალ პარლამენტს, დავირაზმოთ მის გარშემო.

იმპერიამ ძეხორციელი იესო ქრისტეს რწმენისაგან გაძარცვა და მის ნაცვლად გულში უამრავი „იზმის“ სატანა დაუბუდა. ერებს მშობლიური ენა წაართვა და ინტერნაციონალური კონგლომერატის ბორკილები დაადო. მასწავლებელს ღირსება და პატივი აყარა, წლების მანძილზე კაპიკებითა და მაღალფარდოვანი ლოზუნგებით ჰაზრდოვა, ერის მსახურებიდან ხელზე მოსამსახურედ გაიხადა, „სამუშაოსთვის წლების მანძილზე აყურყუტა და პროფესიასთან ერთად ახალგაზრდობაც დააკარგვინა“, სასწავლებლის დირექტორის როლი და დანიშნულება მღებავს გაუთანაბრა, წვრილმანი სამეურნეო საქმეების მოსაგვარებლად ე. წ. საშეფო და საბაზო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან სამათხოვროდ კარდაკარ ატარა. პედაგოგი პენსიაზე ისე გაუშვა, ერთი დასასვენებელი საგზურიც კი არ აღირსა, სკოლაში მწყემსად, საზოგადოებაში მშობლებთან, ოჯახთან, მილიციასთან, საწარმოსთან...—მომრიგებელ მოსამართლედ.

უფრო მეტიც, ეროვნულ სკოლას მომავალი თაობის მომზადების ფუნქცია დაუკარგა. იგი უმაღლესში მოსაწყობი ფარატინა ქაღალდის გამცემ და ადვილად სამართავი დილეტანტების აღზრდის კანტორად აქცია. თეატრის ბილეთების, შაქრისა და კარაქის ტალონების კურიერ-გამსაღებლად, მასწავლებელი სხვისი შვილების აღზრდას გადაეყოლა, საკუთარი დაავიწყა, აკვნებს, ქმარს, შვილებს მოწყვიტა და კარტოფილისა და კომბოსტოს რიგში საათობით დგომით დააოსა.

დანარჩენიც ხომ კარგად მოგეხსენებათ, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, 48 დღიანი შვებულების ნაცვლად 24 სამუშაო დღეს დაგვაჯერეს. სოფლის მასწავლებლებს სკოლის დირექტორის ნაცვლად უფროსად კოლმეურნეობების თავმჯდომარეები დაგვინიშნეს, გზაფხულსა და შემოდგომაზე სწავლას მოგვწყვეტდნენ და ზვარში გაგვამწესებდნენ, დაწყებით კლასებში ერთ მასწავლებელს სამი კლასის მასწავლებლობაც დაეკისრა... ახლა გადასახადები! ეს წყალში დამხრჩვალთა საზოგადოებაო, ეს წითელი ჯვარიო, ტყის მეგობარიო და ვინ მოთვლის...

რაც შეეხება ბავშვებს—ბავშვობა წაართვეს! ზაფხულში მუდმივი დასასვენებელი აგარაკები არ აღირსეს, ეროვნულ საზამთაშოებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

მასწავლებლის ანაზღაურება? —მათხოვრულია! საზღვარგარეთის უმუშევართა ხელფასის მესამედსაც არ შეადგენს. აფრიკის, კუბის, ავღანეთის ინტერნაციონალური ვალებისათვის მილიარდები ჩაყარა, საკუთარი ქვეყნის მასწავლებლისა და მისი მომავალი თაობის აღზრდისათვის კაპიკები არ გაიმეტა „ჰუმანურმა საბჭოთამა“. სხვის შვილებს უპირობდა მასწავლებელთა სამართლებრივი დაცვის კავშირი. თქვენ, ალბათ, უკვე იცნობთ ამ ორგანიზაციის პროგრამას და წესდებას (იხ. „სახალხო განათლება“ 23 აგვისტო 1990 წ). ორგანიზაციას ჩამოშორდა პოლიტიკური სტატუსი, გახდა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ წევრი და მასთან ერთად იბრძვის თავისუფლებისათვის.

არსებობის დღიდან, სულ რამდენიმე თვეში, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეძლო ორგანიზაციამ და მინდა პედაგოგებს, დაინტერესებულ მკითხველს შევახსენო ზოგიერთი გადაჭრილი პრობლემის შესახებ, აგრეთვე იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც დღის წესრიგში დგას.

მასწავლებელთა სამართლებრივი დაცვის საკოორდინაციო საბჭომ აიძულა ოფიციოზი ახალგაზრდა პედაგოგებისათვის, მიუხედავად საათების რაოდენობისა, მიეცა განაკვეთის ანაზღაურება, 17-საათიანი განაკვეთი 15 საათამდე შეემცირებინათ, ხელფასი ზომატებინათ ბაგა-ბაღის აღმზრდელთათვის, აგრეთვე განათლების დარგში მომუშავე ტექნიკური პერსონალისათვის (ჩვენს რაიონში ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა ტექნიკური პერსონალისათვის ხელფასის მომატების საკითხი და ვფიქრობ, ვისაც ეს საქმე ეხება, იზრუნებს ამ საკითხის მოგვარებისათვის, გამოინახება თანხა და სექტემბრიდან გამოეწერებათ). საშემოსავლო გადასახადები აღარ დაექვითებათ ომისა და შრომის ინვალიდებს—ჯგუფის მქონეთ, აგრეთვე მათ, ვისი ხელფასიც 100 მანეთამდეა, (იხ. გაზეთი „კომუნისტი“).

დახმარება გაეწია საკოორდინაციო საბჭოს მიერ აჭარა-ქედისა და ხულოს, სამხრეთ საქართველოს ადიგენის, ახალციხის, ასპინძისა და საინგილოს ქართულ სკოლებს, განხილულ იქნა საბჭოს სხდომებზე 100-ზე მეტი საჩივარი და განცხადება...

ორგანიზაცია იბრძვის კლასკომპლექტების გაუქმებისათვის, იმისათვის, რომ სკოლის ბიბლიოთეკარს მიეცეს პედაგოგის სტატუსი, მასწავლებელთა კვალიფიკაცია განისაზღვროს კატეგორიებით და ანაზღაურებაც შესაბამისად გაიცეს, გათავისუფლდეს მასწავლებელი ყოველგვარი გადასახადისაგან, განათლების სისტემას ჰქონდეს საკუთარი გაზეთი „განათლება“. სასწავლებლები მომავალი წლიდან გადავიდნენ ნახევრადფასიან სწავლებაზე, გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებელნი, ანა თქმა უნდა, თანდათანობით გაუქმდეს სახალხო განათლების [illegible] პედაგოგ-ორგანიზატორების შტატი და მიეკუთვნოს [illegible] განყოფილებას; გაუქმდეს შ. ამონაშვილის ექსპერიმენტი—ბაზა და თანხები გადაირიცხოს მასწავლებელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის, გამარტივდეს პროფტექნიკუმებში სწავლების სისტემა, საშუალო სპეციალური სასწავლებლები გაიხსნას რეგიონების მოთხოვნათა მიხედვით, რუსული ენის სწავლება გაუთანაბრდეს უცხო ენის სწავლებას, საღამოს სკოლებში ნაცვლად 12 წლიანი სწავლებისა შემოვიდეს 11 წლიანი. გაუმჯობესდეს მასწავლებლის საყოფაცხოვრებო პირობები, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ყოველთვიურ მასწავლებლისათვის კომუნალური მომსახურება შეადგენდეს სულ ცოტა 50 მანეთს. ერთი საათის ანაზღაურება განისაზღვროს 20-25 მანეთით, ხოლო მთიანი რაიონების ანაზღაურება გაუთანაბრდეს ჩრდილოეთის ანაზღაურებას ჩვენ ვითომ უფრო ცოტას ვშრომობთ?)

კავშირის თანხებით სკოლებში შემოღებული იქნება წახალისების ფონდი. დავეხმარებით ობლებს, მარტოხელა და მრავალშვილიან მასწავლებლებს. იუბილეს გადავუხდით ღირსეულებს, კავშირს გადაწყვეტილი აქვს დააწესოს მერაბ კოსტავასა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის სტიპენდიები როგორც წარჩინებულ სტუდენტთათვის, ისე მოსწავლეთათვის.

[illegible] მასწავლებლებს [illegible] ატესტაციისა და დაჯილდოების საქმეს, სამართლებრივი დაცვის კავშირის საბჭოს გარეშე არ გადაწყდება!

გასაკეთებელი ძალზე ბევრია, სურვილები უამრავი... ალბათ შეკითხვაც დაგებადებოდათ, ძვირფასო პედაგოგებო. ექნება კი კი ახალ მთავრობას საშუალება დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნები? ჩვენ იმედი გვაქვს ახალი პარლამენტის. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ახლახან გამართულ შეკრებაზე განაცხადა, რომ პარლამენტი მუშაობას დაიწყებს სახალხო განათლების რეორგანიზაციით. გვჯერა, რომ მალე განათლების სამინისტროს სათავეში ჩაუდგება განათლებული და გონიერი პიროვნება და მასწავლებელთა სამართლებრივი

(დასასრული მე-4 გვერდზე).

**გამოიცა მერაბ კოსტავას ლექსების კრებული**

## „პოეტის გული გულია მისნის“

მუდამ ქამს ასე იყო და არის, ქართული პოეტური გენი ცოცხლობდა, მძლავრობდა ჭეშმარიტ ერისკაცთა სულში. მერაბ კოსტავასაც ერის იარებიდან მომსკდარი სისხლის მოზღვავება სწვავდა. სხეული მისი ტანჯულ იყო თავისუფლებისაკენ მიმავალ ეკლიან გზაზე, ხოლო სული პოეტურ სამყაროს მკვიდრობდა.

და მაინც „მისი ნაცნობ-მეგობრების ვიწრო წრის კიდეგან უცნობია მისი ლექსის გზნება და მადლი“... წერს ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავას ერთადერთი ლექსთა კრებულის წინასიტყვაობაში.

სიცოცხლეშივე მითად ქცეული კაცის პოეტური შემოქმედების გაცნობის შესაძლებლობა მკითხველს მიეცა მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ. კრებული გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“.

მერაბ კოსტავა „სინდისის ცეცხლში გავლებული სულის“ ძლიერებით, უსაზღვრო ლტოლვით ყოველივე მშობლიურისადმი, გამოხატავს უნაპირო ერთგულებას ძალისადმი, რომელიც თანამდგომელია ქართლის ბედისა.

პოეტის ცნობიერებაში სწორედ ღვთიური ძალა მკვიდრობს როგორც მხსნელი და ჭირისუფალი დაშრეტილი რწმენისა, „რადგან კაცთაგან შეუძლებელი, შესაძლებელი არის ღვთისათვის“.

„მწუხარე სახის მკრთალი რაინდი“ უპირველეს საზრუნავს—საქართველოს—ღმერთს ავედრებს:

„შემაძლებინე მაღალო ღმერთო
მოყვასთა ჩემთა მუხლი
ვუყარო,
მის გულის ტკივილს ვგრძნობდე
უსიტყვოდ,
გავუადვილო წუთისოფელი,
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,
აი, ქართული საგალობელი“.

და არა მხოლოდ ძალითა [illegible] ერი მსახურებს პოეტი [illegible] ქვეყანას, მის ძარ[illegible] სისხლი ჩქეფს მებრძოლის:

„ჩემი უძლო ტანი [illegible]
[illegible]
და ისევ იკვრება [illegible]
ერთ სუნთქვად,
მტრისას, ო, მტრისას ჩემი
გავეშება,
აშკარა სიკვდილი ცელს ლესავს
თქვენს უკან“.

**კრებული**

თავისუფლებას მოწყურებული
პოეტის სწრაფვა ზღვარდაუდებელი, აბჯარასხმული ქროლვაა
იქითკენ, სადაც „სუნთქავს სამყაროა აბორგებული“.

**„დავლახნოთ უამნი, ტაიჭების
გავხედნოთ რემა,
მზეგადასული შეთქმულების
გავიყოთ გვემა“.**

მერაბ კოსტავას პოეზიას „ვულკანის სიმძაფრესთან“ ერთად მუსიკალური ჰაეროვნება, სამყაროს ნატიფი მშვენიერების შეგრძნებაც ახლავს. განუმეორებელი სიმსუბუქე და ნაზი ჟღერადობაა სტრიქონებში:

**„ფერს შეეპარა ტრედისფერი
ცისკრის სინორჩე,
სიბერე დღისა, დაისების
გაფერმკრთალება,
მთაწმინდის მკერდზე გაზაფხ-
ულის ნედლი სინორჩე,
და შემოდგომის [illegible]
[illegible]
[illegible] მლოცველ
[illegible]
[illegible] სუფეულით სათაყვანებელ „[illegible]“ ქართულ
[illegible]
[illegible]
[illegible]

# ძალი შეგვწევს ქადილისა

(დასასრული).

დაცვის კავშირი იქნება არა ოპოზიცია, არამედ ვითანამშრომლებთ სამინისტროსთან, მაგრამ თვით მამაზეციერიც რომ იყოს თუ კი მასწავლებელს ყოველმხრივ არ შეუქმნის ნორმალური მუშაობისათვის პირობებს, შეებრძოლებით და არ მოვისვენებთ მანამ, ვიდრე თემიდას სასწორი სიმართლისაკენ არ გადაიხრება.

ცოტაც კიდევ, ჩემო კოლეგებო, ცოტაც მოითმინოს თქვენმა სევდიანმა თვალებმა, მომავლის იმედითა და ლოდინით დაღლილმა გულმა. ცოტაც გაუძლოს მომავალი თაობის აღზრდის საქმეში გათეთრებულმა თმებმა და საქართველოსთან ერთად, თქვენც იქნებით თავისუფალნი, მანამდე კი იქნებ რაიმე გიჭირს, ლეჩხუმელო მასწავლებელო! იქნებ სიმართლეს დაეძებ და მასწავლებელთა სამართლებრივი დაცვის კავშირს შეუძლია თქვენი დახმარება, იქნებ ისეთი პრობლემის გადაჭრის გზა შემოგვთავაზოთ, რომელიც ხელს შეუწყობს სამომავლო საქმეს... მოგვწერეთ, მობრძანდით...

ჯერ-ჯერობით ჩვენი მისამართია: ცაგერის საშუალო სკოლა. მასწავლებელთა სამართლებრივი დაცვის კავშირის საბჭო. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გემსახუროთ, თუ დაგვჭირდება რკინის ქალამნებსაც ჩავიცმევთ და დაგიმტკიცებთ, რომ „ძალი შეგვწევს ქადილისა“...

**დ. ჩოგბოლიანი,**

**სრულიად საქართველოს მასწავლებელთა სამართლებრივი დაცვის კავშირის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს წევრი.**

## კრიმინალური ფყაროდან

# ექსპრეს - ინფორმაცია

ბოლო წლებში მაღაზიების დახლების დაცარიელებამ, სასურსათო კრიზისმა შეაშინა ჩვენი მოსახლეობა. პანიკაში ჩავარდნილი ადამიანები ყველაფერს ყიდულობენ. შავი დღისთვის იმარაგებენ სურსათ-სანოვაგეს. ამ მოვლენამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, რამაც კიდევ მეტი პრობლემები შექმნა ვაჭრობის სისტემაში. სამიოდე დღის წინ კიდევ ერთი ჭორი გავრცელდა— პური აღარ იქნებაო და საღამოხანს ცაგერის პურის მაღაზიაში უკვე რიგი იდგა. ეს მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაღაზიის გამყიდველის განცხადებამ: ერთ ხელზე მხოლოდ ერთი ცალი პურის გაცემის უფლება მაქვსო. ამან ზოგიერთი დაარწმუნა, რომ შეფერხებაა მოსალოდნელი პურით მომარაგებაში. საკითხის გასარკვევად მივმართეთ რაიკოოპერატივის ვაჭრობის განყოფილების გამგეს ბატონ **გენური ქარსელაძეს.** აი, რა გვითხრა მან:

**15 ნოემბერს ცეკავშირის ხელმძღვანელობამ დეპეშით გვაცნობა, რომ მოგვეხდინა მოსახლეობისათვის საკვები პროდუქტების მიყიდვის ნორმირება. ერთ ხელზე უნდა გაიცეს 2 კილოგრამი პური (და არა ოჯახზე, როგორც ეს გავრცელდა ხალხში). ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ არავითარი შეფერხება პურის ფქვილითა და გამომცხვარი პურით მომარაგებაში არ იქნება, ამიტომ პანიკის საბაბიც არ არსებობს.**

## ეს საინტერესოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს უხუცესი მოქალაქე

საუდის სამეფოში აღმოაჩინეს მოხუცი შეიხი სახელად საად ბენ გაზიბა, რომელიც, როგორც თვითონვე ამტკიცებს, 149 წლისაა. ბენ გაზიბამ, რომელიც ჯანმრთელობას და გონებრივ სისუსტეს არ უჩივის, ჟურნალისტებს ამაყად განუცხადა, რომ ყოველდღიურად 10 კილომეტრს დადის ფეხით. მის დღიურ ულუფას კი შეადგენს პური, თაფლი და წყალი. მართალია,- ბოლო წლებში, ცოტა მეხსიერება ღალატობს—ავიწყდება თავისი 149 შვილის, შვილიშვილის და შვილთაშვილის სახელები. ბევრად უფრო დიდი სიამოვნებით, იხსენებს ახალგაზრდობის წლებს, როდესაც, როგორც მედროშე, მეზობელი ტომების წინააღმდეგ ლაშქრობებში თან ახლდა მეფე აბდელ აზიზს. იმ დროს ეს კეთილშობილურ საქმედ ითვლებოდა, აღნიშნავს შეიხი.

## ჭილოცავთ

**ანა, ვახტანგ ჩაკვეტაძეებს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

**ლაცორიის საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები.**

**ნელი, გურამ ბერიძეებს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილი.

**მურთაზ ჩაკვეტაძე, კაპიტო ჩიქოვანი, ოთარ კობერიძე.**

**რუსუდან ყურაშვილს**

გილოცავთ ხალხური თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალზე მიღწეულ წარმატებას, ფესტივალის დიპლომანტისა და სპეციალური პრიზის „იმედის“ ლაურეატის წოდების მინიჭებას, კულტურის სამინისტროს ოქროს მედლით დაჯილდოებას. გისურვებთ ახალ წარმატებებს ხელოვნების ძნელ გზაზე.

**პატარა მომღერალი ირინე საღინაძე.**

**ნივრა მაქსიმეს ასულ ქომეთიანს**

დაბადების დღეს მოგილოცავთ! 50 წელი ცხოვრების შუაგზაა. ჯანმრთელობას, სულის სიმხნევეს გისურვებთ. მაგ წმინდა მანდილით დიდხანს გეზიდოთ ქართველმეუღლის, დედისა და ქალის ტვირთი.

**ლალი ბენდელიანი, ირინე მამალაძე, ნაზიკო, მარინე კოპალიანები, ნუკრი ქვილთაია, მედიკო მურცხვალაძე, ლამზირა საღინაძე, ნინელი მუშკუდიანი, იზა გოლეთიანი, გულო ონიანი.**

**ცირა ურთმელიძეს**

**ზურაბ გოგიძეს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

**ალპანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.**

**ალექსანდრე ზურაბის ძე ახვლედიანს**

გილოცავთ უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებას, დეპუტატობას.

გისურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს ერის სამსახურში.

**იური, დარეჯან, ანუკა მიქაუტაძეები.**

## ჭილოცავთ

**ვახლდა ქორწინებიგულებთ!**

**მატა ჯემალის ასულ ალავიძეს**

**გია ჟორას ძე ჭოხონელიძეს**

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

**საირმის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.**

**რედაქტორის მოადგილე**

**მ. ძნელაძე.**

ჭორა, გელა, დათა, კობა, ბუჭუ, თენგული, აქვსენტი კოპალიანები, ლერი იმნაძე, გრიგოლ საღინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან კოპალიანი.**

სოგრატ, ბიჭიკო, ოთარ, კუკური კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანი**

მურთაზ კოპალიანი, მერი ბრეგვაძე, თემურ სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანი**

რუბენ, ბეგლარ ნემსწვერიძეები, აქვსენტი ბენდელიანი, მიხეილ, ჯოტო, ჯოკია, შოთა, იუზა, ინდისი საღინაძეები, ვლადიმერ ხაბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანი**

დიტო, მერაბ ბურჯალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნარგიზა, გოგი საღინაძეებს

**რუსუდან კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ნუნუ მეშველიანს ბიძის

**ვარლამ მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

ოთარ საღინაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ფიქრია, სოფიკო, ელისო საღინაძეები, ნატო, ნონა, ლალი, ნანა, ნინიკო, თამუნა, კახა, თემური, ნუგზარ კოპალიანები, მაია, ლეილა აბაშიძეები, ჯიგული, თამუნა ლეთოდიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან კოპალიანი.**

ამირან კოპალიანი, შიო ირემაძე, ვახტანგ კოღუაშვილი, ვანო, ჯანიკო ლეთოდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანი**

ლუხვანოს საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბაღის ყოფილი აღსაზრდელი

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანი**

თემურ ბერიძე, ივეტა, მერაბ ლეთოდიანები, ბადრი, თამრიკო კოპალიანები, ლამზირა, თეო ჩაკვეტაძეები, ნათია, მარიკა, რიტა საღინაძეები, ნანა, ლიზა ჯაფარიძეები, ავთო, სოსო, ლელა ხაბულიანები, მაკა, კობა, ზაზა ხეცურიანები, ლალი ნემსწვერიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან კოპალიანი**

სოზარ, ალბერტ, ჟორა ბენდელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან რომანის ასული კოპალიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ოყურეშის ღვინის საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციალა დოლბაიას სიძის

**მიხეილ კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ზურაბ ჩანქსელიანს ბაბუის

**გრიგოლ ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

სანეპიდსადგურის პროფდეზგანყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუსიკო კვირკაშვილს ბიძაშვილის

**მიხეილ გიორგის ძე კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ანზორ ლეთოდიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან კოპალიანი**

ბიძა გოგი საღინაძე, ბიცოლა ნარგიზა ბურჯალიანი, ბიძაშვილები ლალი, ლევან, მზია საღინაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან კოპალიანი**

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-21, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-17, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-26, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 კორექტორის—22-48. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4482

საქართველოს სსრ სამედიცინო სიტყვის საბჭოთა კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.